სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია ითვალისწინებს საერთაშორისო აკადემიური და სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარებასა და თავისუფალი სამყაროს საუნივერსიტეტო საზოგადოების ღირსეულ წევრობას, უნივერსიტეტის საქმიანობის ერთ–ერთ პრიორიტეტსაც სწორედ სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს.

თსუ-ს ინსტიტუციური პარტნიორების, უნივერსიტეტების და კვლევითი ცენტრების რიცხვი 56 ქვეყანაში 400-მდე აღწევს; უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მსოფლიოს წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კვლევით ცენტრებთან. აღნიშნული ხელშეკრულებები ითვალისწინებს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი პროექტების განხორციელებას, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებს, ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზებას, პუბლიკაციების მომზადებას და სხვ.

თსუ ლიდერია როგორც სამხრეთ კავკასიის რეგიონში, ასევე საქართველოში ერაზმუს+ საერთაშორისო მობილობის ფარგლებში დაფინანსებული პროექტებისა და
იმ სტუდენტებისა და პერსონალის რაოდენობით, რომლებმაც ევროპის უნივერსიტეტებში ისწავლეს და აიმაღლეს კვალიფიკაცია.
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრიორიტეტი არა მხოლოდ სასწავლო პროცესის, არამედ სამეცნიერო კვლევების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმართვაა, რაც პირველი ქართული უნივერსიტეტის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციას უწყობს ხელს.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა **ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური** მუშაობს სტუდენტთა პროფესიული ზრდის, სამეცნიერო სტაჟირების ორგანიზების ხელშეწყობის, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების, პრეზენტაციების, სასწავლო ექსპედიციების ორგანიზების, სასწავლო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისთვის, სხვადასხვა სახელობითი სტიპენდიის შესახებ სტუდენტთა ინფორმირებისა და კონსულტირების, სხვადასხვა სასწავლო პროექტისა და გაცვლითი პროგრამის განხორციელების მიმართულებით.

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის საქმიანობის პრიორიტეტს წარმოადგენს თსუ–სა და მსოფლიოს სხვა უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო–კვლევით თუ საგანმანათლებლო ცენტრებს შორის მჭიდრო კონტაქტების ჩამოყალიბება, რაც უმრავლეს შემთხვევაში, ერთობლივი პროექტებითა და

სტუდენტების, ახალგაზრდა მეცნიერებისა და პროფესორ–მასწავლებლების გაცვლითი პროგრამებით ხორციელდება. ინფორმაცია გაცვლით პროგრამებზე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთათვის რეგულარულად ქვეყნდება **თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ვებ–გვერდზე**.

იყავი ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ცხოვრების აქტიური წევრი! რეგულარულად ადევნე თვალი თსუ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდს! დახვეწე ევროპული ენების ცოდნა და მიიღე მონაწილეობა სასტიპენდიო კონკურსებში! დაინტერესდი გაცვლითი პროგრამებით! მიიღე ევროპული განათლება!